

შპს ტუნარი

ს/ნ 426535662

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1. ძირითადი საქმიანობა.....	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ფული და ფულის ექვივალენტები	8
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9
6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
7. საგადასახადო ვალდებულებები	10
8. შემოსავალი	10
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	10
11. სხვა შემოსულობა/ზარალი	10
12. კაპიტალი.....	11
13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

ფინასური მდგომარეობის ანგარიშგება შპს ტუნარი

2021 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	222098	69619	93896
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	315333	616975	239438
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	315751	0	0
მზა პროდუქცია	2152221	1939297	1206944
სხვა	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	29903	0	26631
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1414	1414	1235
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3036720	2627305	1568144
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	200	13935	16099
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	490	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	8551	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	61356	78684	221316
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	78684
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	62046	101170	316099
საკუთარი კაპიტალი			
საემისიო კაპიტალი	182200	639200	182700
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2792474	1886935	1069345
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2974674	2526135	1252045
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3036720	2627305	1568144

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია
დირექტორის მიერ
დირექტორი ა. კადიროვი

აპრილი 2023წ.



სრული შემოსავლის ანგარიშგება შპს ტუნარი

2021 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	3401899	3046922
გაყიდვების თვითღირებულება	-2415319	-2153329
საერთო მოგება	986580	893593
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	412
დასაქმებულთა ანაზღაურება	-10125	-5740
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	-304
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-31562	-22545
იჯარის ხარჯი	-38836	-24816
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-120	-10551
სულ საოპერაციო ხარჯები	-80643	-63544
საოპერაციო მოგება	905937	830049
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)		
უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო		
სახსრების გადაფასებიდან	0	-12460
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-398	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის		
ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	905539	817589
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	905539	817589
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	905539	817589

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია
დირექტორის მიერ

დირექტორი
აპრილი 2023წ.

ა. კადიროვი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები შპს ტუნარი

2021 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ტუნარი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 10 მაისს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით-

	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
აფად კადროვი	100%	100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა სანტექნიკური ნაწარმით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

(ზოგადი ინფორმაცია)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ანგარიშგება მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2019, 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2021 წლის 31 დეკემბერსა და შემდეგ დასრულებულ პერიოდებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების საფუძველზე. კომპანიის საქმიანობის შედეგი მომგებიანია და კაპიტალის ზრდას ახორციელებს გაუნაწილებელი მოგების საფუძველზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და შეუძლია საქმიანობის გაგრძელება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს, ანაზღაურებადი შემენის გადასახადებსა

და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისთვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	25-35 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო-სატრანსპორტო საშუალებები	10-15 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-15 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივების ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება- ზარალის ანგარიშში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი კომპანიის მიერ შეძენილი ლიცენზიები და საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანია ძირითადად ფლობს ისეთ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს, რომელიც გამოყენებადია ვარგისიანობის ვადის განმავლობაში. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად აღირიცხება თვითღირებულებით და ვადის გასვლის შემთხვევაში ხდება ჩამოწერა. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულებები, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვების აღრიცხვას, კერძოდ 2 წლამდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100%-ით დარიცხვას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ ზარალში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>31 დეკემბერი 2020 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2021 წელი</u>
ნაღდი ფული სალაროში	1250	1850
ფული საბანკო ანგარიშზე	68369	220248
სულ	69619	222098

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	<u>31 დეკემბერი 2020 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2021 წელი</u>
სავაჭრო მოთხოვნები	0	315333
სულ	0	315 333

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს, საქონლის რეალიზაციიდან მისაღებ თანხებს.

5. სასაქონლო- მატერიალური მარაგები

	<u>31 დეკემბერი 2020 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2021 წელი</u>
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1 939 297	2 152 221

მარაგების რაოდენობა მუდმივად ივსება რეალიზებული საქონლის პროპორციულად.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	<u>31 დეკემბერი 2020 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2022 წელი</u>
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	13935	200
მიღებული ავანსები	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	13 935	200

2021 წელს შემცირდა მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

7 საგადასახადო ვალდებულებები

	<u>31 დეკემბერი 2020 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2021 წელი</u>
საგადასახადო ვალდებულებები	8551	0

ფინანსურ ბალანსში საბიუჯეტო გადასახადებში ვალდებულება გამოწვეულია 2019 წლის დარიცხული და 2020 წელს გადასახდელი გადასახადებით.

8. შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის უდიდესი ნაწილი შედგება სანტექნიკური ნაწარმის მიწოდებით მიღებული შემოსავალი

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება პროდუქციის თვითღირებულებას დამატებული ტრანსპორტირების და სხვა ზედნადები ხარჯი .

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა და კომუნიკაციის ხარჯებს, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯებს, სამეურნეო მარაგების ხარჯებს, ლაბორატორიული ანალიზის ხარჯებს, მივლინების ხარჯებს.

11. სხვა შემოსულობა/ზარალი

2021 წელს კომპანია იყო მომგებიანი.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწყისი საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან

13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამტკიცებულია გასმოსაშვებად და ხელმოწერილია
დირექტორის მიერ
დირექტორი ა. კადიროვი

აპრილი 2023წ.

